პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი

# Боевой страж

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

შაბათი, 23 ივნისი, 1990 წელი ● № 26 (2903) ● СУББОТА, 23 ИЮНЯ 1990 г.

## НА ОПЕРАТИВНОМ СОВЕЩАНИИ РУКОВОДЯЩЕГО СОСТАВА МВД ГССР

**14 ИЮНЯ** состоялось оперативное совещание руководящего состава МВД ГССР, которое провел министр внутренних дел республики генерал - лейтенант внутренней службы Ш. Горгодзе.

На совещании с информацией о состоянии оперативной обстановки в республике за пять месяцев, май и 13 дней июня т. г. выступил начальник оргинспекторского отдела министерства полковник милиции К. Буджиашвили. Руководству УУР (начальник — полковник милиции Г. Шаламберидзе), УООП (полковник внутренней службы Г. Бичашвили) и УПС (полковник милиции Л. Горгодзе) поручено совместно осуществить мероприятия профилактического характера по пресечению убийств и других преступлений против здоровья и жизни граждан. Руководству УУР и УО (полковник милиции Г. Кварелашвили) предложено принять соответствующие меры по усилению борьбы с имущественными преступлениями.

Руководству УГАИ (полковник милиции Г. Цинцадзе) предложено проанализировать причины возникновения дорожно - транспортных происшествий, в том числе со смертельным исходом и незамедлительно принять меры по их предотвращению. Усилить борьбу со взяточничеством поручено руководству УБХСС (полковник милиции Г. Патарая).

О недостатках, имеющихся в профилактике преступности несовершеннолетних в МВД Абхазской АССР, УВД г. Тбилиси и Руставском ГОВД, проделанной по их устранению работе руководящих работников министерства проинформировал заместитель начальника УПС МВД ГССР полковник милиции Н. Кавтарадзе. Руководству указанных подразделений поручено принять меры по проведению с состоящими на учете подростками, в особенности с ранее судимыми, эффективной индивидуально-профилактической и воспитательной работы.

С информацией о состоянии работы по рассмотрению поступивших в МВД ГССР жалоб и заявлений граждан по итогам 5-ти месяцев т. г. на совещании выступил начальник секретариата министерства полковник внутренней службы И. Барский. Секретариату МВД ГССР поручено должным образом контролировать состояние данной работы в ЦА и отдельных подразделениях министерства.

## სხვადასხვა ინფორმაცია

**20 ივნისს** გაიმართა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს რიგგარეშე, მეთხუთმეტე სესია.

**პრესაში** გამოქვეყნდა სსრ კავშირის კანონი „ბეჭდვითი სიტყვისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა შესახებ".

**გამოქვეყნდა** კანონპროექტი საბჭოთა მილიციის შესახებ".

**მოსკოვში** მიმდინარეობს რსფსრ პარტიული კონფერენცია, სადაც მიიღეს დადგენილება რათა მოხდეს კონფერენციის კონსტიტუირება რსფსრ კომუნისტური პარტიის დამფუძნებელ ყრილობად.

**საქართველოს** ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლს შეუსრულდა არსებობის 100 წელი. ახლახან მას მიენიჭა აკადემიურის საპატიო წოდება.

**22-30 ივნისს** თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ეროვნულ თეატრში გაიმართება მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე განთქმული დასის — „მონტე-კარლოს ბალეტის" გასტროლები.



სურათზე: საქართველოს უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სესიის მსვლელობისას.

*განვიხილავთ კანონპროექტს*

## დანაშაულის ცნება უნდა დაზუსტდეს

**თანამედროვე** ეტაპზე ჩვენს ქვეყანაში ინტენსიური საკანონმდებლო საქმიანობა მიმდინარეობს. ცოტა ხნის შემდეგ საზოგადოება მიიღებს სისხლის სამართლის ახალ კანონმდებლობას. თანაც, ლაპარაკია არა მის მორიგ უბრალო შეცვლაზე, არამედ, რეფორმაზე. გაზეთ „კომუნისტის" 1990 წლის 28 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების" პროექტი, რომელიც დღეისათვის ფართო განხილვის საგნად იქცა.

„საფუძვლების" მე-8 მუხლი დათმობილი აქვს სისხლის სამართლის თეორიისა და პრაქტიკის ერთ-ერთი ძირითადი ცნების — დანაშაულის განსაზღვრას. იგი თავის წინამორბედ მუხლთან შედარებით შეცვლილია და ახლებურად არის ჩამოყალიბებული. მაგრამ, როგორც ჩვენ გვესახება, მასში ზოგიერთი მომენტი ჯეროვანი სიღრმით არ არის გაცნობიერებული.

**მუხლი სტრუქტურულად ორი ნაწილისაგან შედგება და მასში კერძოდ ნათქვამია:**

**„(1). დანაშაულად ჩაითვლება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული და ბრალეულად ჩადენილი საზოგადოებრივად საშიში ქმედობა (მოქმედება ან უმოქმედობა), რომელიც ხელყოფს საბჭოთა საზოგადოებრივ წეს-წყობილებას, მის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემებს, პიროვნებას, მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს, სახელმწიფო, კოოპერაციულ საკუთრებას, აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საკუთრებას, ბუნებრივ გარემოს, აგრეთვე სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული სხვა საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, რომელიც ხელყოფს სოციალისტურ მართლწესრიგს ან მშვიდობასა და კაცობრიობის უშიშროებას.**

**(2). დანაშაულად არ ჩაითვლება მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც თუმცა ფორმალურად შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული რაიმე ქმედობის ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ წარმოადგენს საზოგადოებრივ საშიშროებას."**

დანაშაულის ცნება საერთოდ შედარებით სტაბილური ცნებაა და ცხადია, მისი წამდაუწუმ შეცვლა არ შეიძლება. დახვეწა და დაზუსტება კი ეპოქის სულისკვეთების შესაბამისად ყოველთვის საჭიროა. ეს ეხება გარდაქმნის ეპოქასაც. მით უფრო, რომ განვლილი 70 წლის მანძილზე იურიდიული დიქტატის, პროფესიული ტერმინოლოგიის დაუმუშავებლობის, საკანონმდებლო ტექნიკის დაუხვეწაობის, სტილის მოუქნელობის, არაადეკვატური თარგმნის თუ სხვა სუბიექტური მიზეზების გამო ყოველთვის როდი გვქონდა სრულყოფილი სისხლის სამართლებრივი ნორმები, რაც საკმაო ზიანის ფასად დაუჯდა საზოგადოებას.

დღეს კი, დემოკრატიზაციის, საჯაროობისა და სამართლებრივი სახელმწიფოსაკენ სწრაფვის პირობებში ჩვენი ერთ-ერთი უპირველესი საზრუნავი ის უნდა იყოს, რომ ყოველი ნორმა გავხადოთ შეძლებისდაგვარად ნათელი, პოპულარული, თანაბრად გასაგები როგორც პროფესიონალი იურისტების, ისე მოსახლეობის ფართო ფენებისათვის. ეს მოთხოვნა უპირველეს ყოვლისა ეხება დანაშაულის ცნებას, რომლის ერთგვაროვან გაგებასა და განმარტებაზე დამოკიდებულია ათასობით ადამიანის ბედი, სამართალდამცავი ორგანოების მრავალრიცხოვან მუშაკთა დროისა და შრომის ეკონომია და რაც ყველაზე მთავარია, ამ მუხლის პროფილაქტიკურ-გამაფრთხილებელი მნიშვნელობა.

ჩვენ ტრადიციულად შევეჩვიეთ დანაშაულის ცნების ზემოაღნიშნული ორწევროვანი სტრუქტურით განსაზღვრას. ამ ტრადიციის მიხედვით მუხლის პირველ ნაწილში ნათქვამია თუ რა არის დანაშაული და რატომ არის დანაშაული. ამ თვალსაზრისით მუხლის ეს ნაწილი რაიმე შენიშვნას არ იმსახურებს. რაც შეეხება მუხლის მეორე ნაწილს, იგი, ჩვენის აზრით, შედარებით ნაკლებად სრულყოფილია. აქ შედარებით მშრალად და სქემატურად არის ნათქვამი იმის შესახებ, თუ რა არ არის დანაშაული და რატომ არ არის დანაშაული. კერძოდ, ეს „რატომ" ჯეროვნად არ არის დაკონკრეტებული და ქმნის შთაბეჭდილებას თითქოს თვით დანაშაულის ცნების განმარტება შუა გზაზე იყოს შეჩერებული. ადვილი წარმოსადგენია თუ კავშირის მასშტაბით იურიდიული დარგის რამდენმა მუშაკმა უნდა გამოიყენოს პრაქტიკულად ქმედობის „მცირე მნიშვნელობის" კრიტერიუმი და რამდენი სუბიექტივიზმისა და თვითნებობის შესაძლებლობას შეიცავს იგი. ეს მაშინ, როცა სწორედ ამ სიტყვამ უნდა გამიჯნოს და განასხვაოს დანაშაული სხვა სახის სამართალდარღვევებისაგან.

ამიტომ, ჩვენის აზრით, დანაშაულის ცნების ორწევროვანი სტრუქტურით განსაზღვრა სადღეისოდ მოძველდა. მუხლს უნდა დაემატოს ახალი, მე-3 ნაწილი, რომელშიც ლოგიკური თანმიმდევრობით იქნება განმარტებული ქმედების „მცირე მნიშვნელობის" ცნება და მისი საკანონმდებლო კრიტერიუმი.

**კერძოდ, მუხლის მე-3 ნაწილი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „(3). ქმედობა მცირე მნიშვნელოვნად ჩაითვლება თუ იგი არსებით ზიანს არ აყენებს, ან არსებითი ზიანის მიყენების საფრთხეს არ უქმნის სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან მოქალაქეთა უფლებებსა და ინტერესებს, ან სოციალისტურ მართლწესრიგს."**

არის თუ არა სხვაობა ქმედობის „მცირე მნიშვნელობასა" და „არსებითი ზიანის" მიყენების ცნებებს შორის? ჩვენ გვეჩვენება რომ არის. ეს უკანასკნელი უფრო აზუსტებს და აკონკრეტებს დანაშაულის ცნებას, რადგან ფაქტიურად სწორედ არსებითი ზიანის მიყენება ან არსებითი ზიანის მიყენების შესაძლებლობა განასხვავებს დანაშაულს, არის მისი მატერიალური საფუძველი, მისი არსი და სუბსტრატი. ამიტომ დანაშაულისა და არადანაშაულის განსხვავების კონტექსტში ჩვენ ამ სიტყვის გამოყენება უფრო მიზანშეწონილად გვეჩვენება.

ახლო მომავალში, როცა ზემოაღნიშნული „საფუძვლების" პროექტი დამტკიცდება და ჩვენი რესპუბლიკა საკუთარ სისხლის სამართლის კოდექსს შეიმუშავებს, მასში დანაშაულის ცნების ზემოაღნიშნული სამწევროვანი სტრუქტურით განმარტება უფრო მეტ შესაძლებლობას მოგვცემს უკეთ გავითვალისწინოთ ადგილობრივი პირობები, ჩვენი ეროვნული ინტერესები, დავამკვიდროთ არსებითი და არაარსებითი ზიანის ჩვენეული შეფასება. ფაქტია, რომ ის რაც სხვა რესპუბლიკებსა და ხალხებში არსებით ზიანად შეიძლება არც იქნას მიჩნეული, ჩვენს რესპუბლიკაში პირიქით, ხალხის ყოფის, კულტურის, ტრადიციების, ეროვნული ფსიქოლოგიისა და სხვა თავისებურებათა გათვალისწინებით შეიძლება სრულიად განსხვავებულ სამართლებრივ შეფასებას იმსახურებდეს. საამისოდ მართოოდენ მიწების „ფლანგვაზე", ეკოლოგიურ, დემოგრაფიულ და სხვა პრობლემებზე მითითებაც იკმარებდა.

**ზ. ალავიძე,**
**მილიციის პოდპოლკოვნიკი.**

# Преступность в свете гласности

Все чаще в последнее время в печати публикуются данные, характеризующие состояние борьбы с преступностью. Гласность в этой сфере, ранее остававшейся под покровом излишней секретности, не только дает возможность информировать общественность о состоянии криминогенной обстановки. Она оказывает большую помощь самим работникам правоохранительных органов, позволяет им правильно ориентироваться в складывающейся обстановке, своевременно выявлять тревожные тенденции в динамике преступности, принимать соответствующие меры. Именно этой цели служат публикуемые ниже статистические данные, любезно предоставленные нашей редакции начальником Информационного центра МВД ГССР полковником милиции А. Наскидашвили, отражающие динамику преступности и результаты работы органов внутренних дел республики за пять месяцев нынешнего года.

## ТЕМПЫ РОСТА ОТДЕЛЬНЫХ ВИДОВ ПРЕСТУПЛЕНИЙ




## ДИНАМИКА ПРЕСТУПНОСТИ

ВСЕГО ЗАРЕГИСТРИРОВАНО ПРЕСТУПЛЕНИЙ




в том числе ТЯЖКИХ




УРОВЕНЬ ПРЕСТУПНОСТИ НА 10 тыс. НАСЕЛЕНИЯ

| | 5 мес. 1989г. | 5 мес. 1990г. |
|---|---|---|
| Грузинская ССР | 12,4 | 14,6 |
| Абхазская АССР | 20,6 | 26,4 |
| Аджарская АССР | 10,6 | 11,2 |
| Ю/Осетинская А/О | 17,3 | 35,6 |
| г.Тбилиси | 11,4 | 14,4 |
| г.Кутаиси | 11,4 | 15,9 |
| г.Рустави | 7,9 | 10,5 |
| г.Сухуми | 29,1 | 43,0 |
| г.Батуми | 15,3 | 16,4 |
| г.Цхинвали | 16,1 | 31,0 |

СТРУКТУРА ПРЕСТУПНОСТИ







РОЗЫСК ПРЕСТУПНИКОВ И ЛИЦ, БЕЗ ВЕСТИ ПРОПАВШИХ

| | 5 месяцев 1989 года | 5 месяцев 1990 года | +,–в % к 5 мес. 1989 г. |
|---|---|---|---|
| Всего разыскивалось | 624 | 835 | +33,8% |
| Из них разыскано | 357 | 365 | +2,2% |
| Результаты розыска в % | 57,2 | 43,7 | |
| Разыскивалось лиц, без вести пропавших | 283 | 312 | +10,2% |
| Из них разыскано | 99 | 111 | +12,1 |
| Результаты розыска в % | 35,0 | 35,6 | |

ДИНАМИКА ПРЕСТУПНОСТИ ПО АВТОНОМНЫМ РЕСПУБЛИКАМ, ОБЛАСТИ, КРУПНЫМ ГОРОДАМ И РЕГИОНАМ

| | 5 мес. 1989 г. | +, – (%) к 5 мес.1988г. | 5 мес. 1990 г. | +, – (%) к 5 мес.1989г. |
|---|---|---|---|---|
| Абхазская АССР | 1108 | –4,2 | 1418 | ±28,0 |
| Аджарская АССР | 416 | +4,3 | 439 | +5,5 |
| Ю/Осетинская А/О | 171 | +8,9 | 353 | +106,4 |
| Транспортная милиция | 546 | +12,1 | 547 | +0,2 |
| г.Тбилиси | 1439 | +0,1 | 1819 | +26,4 |
| г.Кутаиси | 268 | +7,6 | 373 | +39,2 |
| г.Сухуми | 353 | +1,1 | 522 | +47,9 |
| г.Батуми | 208 | +3,5 | 223 | +7.2 |
| г.Цхинвали | 69 | +4,5 | 133 | +92,8 |
| г.Рустави | 125 | –8,7 | 167 | +33,6 |

СОВЕРШЕНО ПРЕСТУПЛЕНИЙ ЛИЦАМИ, РАНЕЕ СОВЕРШАВШИМИ ПРЕСТУПЛЕНИЯ




ПРЕСТУПЛЕНИЯ, СОВЕРШЕННЫЕ НА УЛИЦАХ, ПЛОЩАДЯХ, В ПАРКАХ, СКВЕРАХ




**ПРИВЕДЕННЫЕ** в таблицах цифры весьма тревожны — ведь рост преступности отмечается практически по всем направлениям, но факты, как говорится, упрямая вещь. Редакция предполагает и в дальнейшем публиковать подобные статистические данные, что призвано сыграть свою положительную роль не только в деле лучшего информирования населения, но и совершенствования правоохранительной практики.

Подготовил к публикации
А. ЦАТУРОВ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ЗАКОНОМЕРНЫЙ ФИНАЛ

**НЕТ,** наверное, необходимости объяснять, какую опасность для общества представляют преступления, направленные против здоровья и жизни граждан. Статистика свидетельствует, что их в большинстве случаев совершают лица, ведущие бездельный, паразитический, антиобщественный образ жизни, и трагическая развязка становится для них закономерным финалом беспутно прожитой жизни.

Дожив до сорока лет, жительница г. Тбилиси Ламара Одикадзе имела несколько судимостей и к тому же нигде не работала. Естественно, что средства к существованию были ограничены, а зарабатывать их честным путем не хотелось. А тут еще ее сестра, проживающая в районе им. 26 комиссаров, в разговоре случайно упомянула, что у ее соседки, одиноко живущей 70-летней А. Арутюновой имеются золотые изделия и другие ценности. С этого момента у Л. Одикадзе стал складываться зловещий замысел.

Понимая, что его реализация в одиночку ей не под силу, она обратилась к своему старому знакомому, ранее судимому за хулиганство, также нигде не работающему из-за болезни туберкулезом Зазе Тедееву. Тот в свою очередь привлек к «делу» своего дружка, судимого за воровство Зураба Дандурова, который в тот момент бежал из мест прикрепления и находился в розыске.

14 ноября прошлого года они обманным путем проникли в квартиру А. Арутюновой и, угрожая ей расправой, стали требовать у нее ее сбережения. Когда же пожилая женщина подняла крик, пытаясь привлечь вминание соседей, преступники нанесли ей удар утюгом по голове, а так как она не прекращала попыток сопротивления, затащили ее в ванную комнату и там с особой жестокостью задушили.

Быстро осмотрев комнату, они взяли все, что попадалось под руку — кожаные плащ и куртку, золотые часы и серьги с бриллиантами, 2,5 тысячи в облигациях, другие вещи. Обнаружили они и хранившиеся в металлической коробке 15 тысяч рублей, часть из которых в спешке забыли, и скрылись с места преступления. Однако их надежды на безнаказанность не оправдались.

Благодаря четкому проведению оперативно - розыскных мероприятий сотрудниками УУР МВД ГССР совместно с работниками отделов уголовного розыска УВД Тбилгорисполкома и ОВД района им. 26 комиссаров, уже спустя четыре дня преступники были установлены и задержаны. Причем, задержали их с поличным в тот момент, когда, собравшись на одной из квартир, они приступили к дележу награбленного. В ходе дальнейшего расследования их преступление было полностью доказано, были установлены и все перечисленные выше обстоятельства злодейского убийства.

Недавно завершилось и рассмотрение этого дела в суде. Учтя особую тяжесть содеянного, суд приговорил З. Тедеева и З. Дандурова к исключительной мере наказания — расстрелу. Л. Одикадзе приговорена к 15 годам лишения свободы. Таков исход этой трагической истории.

**А. ЛОМИДЗЕ.**

# ოპერატიულად მოქმედებდნენ

**შინაგან** საქმეთა ორგანოების დაცვის სამსახურის თანამშრომლებს დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ მოქალაქეთა და სახელმწიფო საკუთრების დაცვის საქმეში. მათი ოპერატიული მოქმედება დანაშაულის გახსნის საწინდარია.

...31 მარტს პირველი მაისის რაიონის შს დაცვის განყოფილების თანამშრომლების: სამსახურის უფროსი ინსპექტორის, მილიციის კაპიტან ნ. ხიზანიშვილის, მილიციელების, მილიციის უფროსი სერჟანტის ო. კვიციანის და მილიციის უმცროსი სერჟანტის ქ. კასრაძის მიერ წერეთლის გამზირზე მდებარე სასადილოსთან დაკავებული იქნა მოქ. ს. ს. რომელმაც სასადილოს მინა გატეხა და შეაღწია სასადილოში, საიდანაც მოიპარა 382 მანეთის ღირებულების შამპანური.

...10 მაისს ღამის 2 საათზე ცენტრალურ სამეთვალყურეო პუნქტზე მიღებული იქნა საგანგაშო სიგნალი წერეთლის გამზირზე მდებარე მაღაზიიდან. განგაში გადაცემული იქნა დაკავების ჯგუფის წევრებთან ავტომანქანაში პულტის მორიგე დისპეტჩერის ნ. თოდაძის მიერ. შემთხვევის ადგილზე გამოცხადდნენ მილიციის სერჟანტები რ. დონაძე. გ. სანთელაძე, რიგითი გ. ბარათელი, რომლებმაც ადგილზე მისვლისას დაინახეს რომ ერთ-ერთ კარებზე მინა იყო ჩამტვრეული; შიგნით შენიშნეს ბოროტმოქმედი. მარშრუტის მილიციელების, მილიციის უფროსი სერჟანტის ა. კაპანაძის, ქ. კასრაძის და ო. კვიციანის დახმარებით მთლიანად ბლოკირებული იქნა გასტრონომიული მაღაზია და დაკავებული იქნა ასტრახანში მცხოვრები დამნაშავე ვ. ქ.



**В БОГДАНОВСКОМ** районе хорошо знают сотрудника госавтоинспекций лейтенанта милиции Сулико Надгаидзе. Он здесь трудился более двадцати лет и за время работы в Богдановском РОВД проявил прекрасное знание своего дела и своим объективным отношением завоевал симпатию и уважение жителей района. Награжден медалями «За безупречную службу» I и II степеней.

## Только факты

● 16 июня на мосту Вахушти сотрудниками по борьбе с угонами автотранспортных средств ОУР УВД г. Тбилиси задержан Давид Ч., место работы которого уточняется, угнавший автомашину ВАЗ-21011, принадлежащую Джемалу Ч. Автомашина в сохранности возвращена владельцу.

● 17 июня в 23 часа около парка «Победы» сотрудниками Орджоникидзевского РОВД г. Тбилиси задержан Гоча К., житель г. Чиатура, у которого изъят пистолет системы «Макарова» с двумя магазинами и 16-ю боепатронами, а также газовый пистолет иномарки.

● 17 июня сотрудниками ЛОВД на ст. Самтредиа в поезде Москва — Ереван задержан Гурген А., проживающий в г. Уздо Казахской ССР, временно неработающий, у которого изъято 97,5 г марихуаны.

# ოთხი დანაშაული...

**1990 წლის** 22 მარტს მილიციის უფროსი ლეიტენანტის გ. გვაზავას და ზემდეგ ზ. გიორგაძის მიერ „მოსკოვი-ერევნის" მატარებლის № 5 ვაგონის № 5 კუპეში დაკავებული იქნა ორჯერ ნასამართლევი ტ. ს. რომელსაც აღმოაჩნდა 2300 გრამი მცენარე კანაფის ნედლეული, რომლის გადამუშავებითაც მიიღება 1725 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ანაშა". ძიებით დადგინდა შემდეგი ტ. ს-მ 18 მარტს მოსკოვის ოლქის ქ. რეუტოვოში გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან შეიძინა აღნიშნული ნარკოტიკი და მიჰქონდა საქართველოში, კერძოდ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ზნაურის რაიონში, სადაც თვითონ ცხოვრობდა.

ადრე სამართალში ნამყოფმა ს. შ-მ, რომელიც ცხოვრობს სამტრედიაში მთვრალმა ჩაიდინა ქურდობა ვაგზლის ტერიტორიაზე, სოხუმი-თბილისის მატარებელში მოიპარა ლაბადა. იგი დაკავებული იქნა მაშინ, როდესაც ცდილობდა ვაგონიდან ჩამოსვლას და მიმალვას.

3 აპრილს, დაახლოებით 20 საათზე, პასუხისმგებელ მორიგეს მილიციის კაპიტანს ს. ქარჩილაძეს ტელეფონით შეატყობინეს, რომ ბაქნის ბოლოში, საბარგო განყოფილებასთან მოხდა ძარცვა — ასაკოვან ქალს დამნაშავემ გამოსტაცა ხელჩანთა და მიიმალა. ოპერატიულად ჩაებნენ დამნაშავის ძებნაში მილიციის მაიორი ნ. მიგინეიშვილი და მილიციის უფროსი ლეიტენანტი გ. გვაზავა, რომელთა მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად შესაძლებელი გახდა ეჭვმიტანილის კვალის მიგნება და დაკავება. იგი აღმოჩნდა ვ. თ. დაბადებული 1956 წელს, სამტრედიაში მცხოვრები, დაკავების დროს იგი ნასვამ მდგომარეობაში იყო. ვ. თ. არის ადრე ნასამართლევი. დაკავებისას მან აღიარა, რომ ჩაიდინა ძარცვა. იქვე უნახეს წამლები და 50 მანეთი ფული, რომელიც გატაცებული ხელჩანთიდან ამოეღო, ხოლო ხელჩანთა ხიდის ქვეშ „საიმედოდ" დაემალა, ხელჩანთა ნივთებით და ფულით, რომლის საერთო რაოდენობა 465 მანეთი იყო, დაუბრუნდა კანონიერ მფლობელს, ხოლო მძარცველის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

და კიდევ ერთი შემთხვევა, რომელიც ცოტა განსხვავებულია ხსენებული ფაქტებიდან, თუმცა საქმე გვაქვს საზოგადოებრივად მეტად საშიშ მოვლენასთან.

5 აპრილს 23 საათსა და 30 წუთზე სადგურ სამტრედიაში, წყალტუბო-მოსკოვის მატარებლის № 6 ვაგონში ავიდა საეჭვო პიროვნება, რომელიც არ დაემორჩილა გამცილებელ ოპერატიულ ჯგუფს (მატარებელს აცილებდნენ ქუთაისის სახაზო განყოფილების თანამშრომლები — მილიციის მაიორი ხუნდაძე და უფროსი ლეიტენანტი ფანჩულიძე), საჭირო შეიქმნა აღნიშნული საეჭვო პიროვნების მატარებლიდან „ჩამოხსნა", რისთვისაც ვაგონთან მივიდნენ პასუხისმგებელი მორიგე, მილიციის კაპიტანი ი. ჯაში და მილიციის მაიორი ნ. მიგინეიშვილი. ზემოთ აღნიშნული პიროვნება ჯერ სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა მილიციის თანამშრომლებს, შემდგომ კი შეეცადა ცეცხლმსროლელი იარაღის გამოყენებით დამუქრებას. ამ მიზნით კი მან ამოიღო „ნაგანის" სისტემის ცეცხლმსროლელი იარაღი, მაგრამ მილიციის მუშაკთა ერთობლივი მოქმედებით შესაძლებელი გახდა იარაღის ართმევა და მისი დაკავება. ეს პიროვნება აღმოჩნდა ქუთაისელი უმუშევარი ლ. ბ. დაბადებული 1966 წელს. „ნაგანის" სისტემის იარაღი, რომელშიც 2 ვაზნა იყო, ექსპერტის დასკვნით საბრძოლო მდგომარეობაში აღმოჩნდა.

ვინ იცის რამდენი მოქალაქე შეიძლებოდა გამხდარიყო ცეცხლმსროლელი იარაღით შეიარაღებული დამნაშავის ძალადობის მსხვერპლი, და ყოველთვის, როცა ჩვენ ვცდილობთ გავაკეთოთ მომხდარი დანაშაულის ანალიზი, ვეძიოთ მისი წარმოშობის მიზეზები და ავხსნათ პირობები, რომელშიც შეიძლება დანაშაული იქნას ჩადენილი, აღმოვჩნდებით ხოლმე მწარე სინამდვილის წინაშე — ჩადენილი დანაშაულის 80 პროცენტი ხდება სიმთვრალით, დამნაშავეთა 70 პროცენტამდე ახალგაზრდობაა 30 წლამდე. არადა, დამეთანხმებით რომ ძლიერ მომრავლდა მკვლელობები, დაჭრები, ყაჩაღობები, ძალადობები, ავტომანქანის ქურდობა და სხვა ქონებრივი დანაშაულობები. მოსახლეობის ერთ ნაწილს ეუფლება დაუცველობის, უმწეობის, უსუსურობის გრძნობა, რადგან დანაშაულის ზრდის ტემპები სახეზეა და საგანგაშოა, რადგან ჯერაც არ მივსულვართ იმ დასკვნამდე, რომ დანაშაულის კვალი სოციალურ ასპექტში ვეძიოთ და არ დავაბრალოთ იგი საქართველოში ეროვნული მოძრაობის გაძლიერებას, რომლის მიზანი სწორედ დემოკრატიული, სამართლებრივი, დამოუკიდებელი, ჯანსაღი სახელმწიფოა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ბევრი, ვითომ მამულიშვილი, სარგებლობს შექმნილი ვითარებით, ისეთ სამარცხვინო საქმეებს ჩადის, რომელთა შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი. მილიციის მუშაკებმა შეურიგებელი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ მსგავს მოვლენებს.

**მ. შენგელია,**
**სადგურ სამტრედიის შინაგან საქმეთა სახაზო განყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტდარგში, მილიციის უფროსი ლეიტენანტი.**

# И ВНОВЬ НА ОГНЕННОМ ФРОНТЕ

**В ЖИЗНИ** каждого человека есть даты, которые не стираются в памяти. Это своего рода вехи на жизненном пути.

Нелегок был жизненный путь Григория Николаевича Кочиашвили. Коммунист Г. Кочиашвили более десяти лет возглавлял партийную организацию пожарной части авиазавода им. Г. Димитрова, а в данный момент является членом ее бюро. Он награжден многочисленными орденами и медалями, имеет грамоты и поощрения, является наставником молодежи.

Сын крестьянина, уроженец села Вакири Сигнахского района, после окончания школы он поступает на подготовительные курсы и становится летчиком гражданской авиации.

Призванный в ряды Советской Армии летчик Кочиашвили попадает в 3-е отделение зенитной батареи, которая стояла на границе с Монголией

Шел 1940-й год. Монгольский народ очищал свою землю от японских милитаристов. В этой борьбе, верные своему интернациональному долгу, советские воины оказали братскую помощь монгольскому народу. Среди них был и наш земляк двадцатилетний Григорий Кочиашвили.

Началась Великая Отечественная война. В 1942 г. он был переброшен под Сталинград — в состав 4-ой эскадрильи гражданской авиации.

В этой великой битве на Волге летчик Кочиашвили вместе со своими друзьями внес и свою долю в разгром врага. Их эскадрилья снабжала тыл продовольствием, перевозила под шквальным огнем противника раненых и боеприпасы.

...И вот пришла долгожданная победа. 1946 год для Григория Николаевича был последним в срочной службе. По состоянию здоровья он комиссуется из рядов Советской Армии. Но болезнь не сломила твердый и закаленный в боях характер.

Вернувшись в 1947 году в Тбилиси, Григорий Николаевич начинает работать на авиационном заводе им. Димитрова контролером, а год спустя поступает в отдельную пожарную часть по охране завода, где вновь чувствует себя бойцом.

Однажды в одном из зданий завода возник пожар. Г. Кочиашвили, верный своему долгу, одним из первых ворвался в охваченное пламенем здание, в неимоверно тяжелых условиях спасал людей, народное добро, документацию.

— Вот уже более 30 лет этот человек несгибаемой воли, — рассказывает начальник пожарной части майор внутренней службы Гурам Чедия, — работает в ВПЧ-15 УВД Тбилгорисполкома, но уже в должности младшего инспектора профилактической службы и свои обязанности выполняет добросовестно, показывая пример молодым сотрудникам.

А дома Григорий Николаевич рассказывает своим внукам о горячих днях минувшей войны и о буднях сегодняшней пожарной охраны. Долгих Вам лет жизни и здоровья. И пусть молодые, равняясь на Вас, так же добросовестно служат любимому делу и своему народу.

**А. МАЛАЯНЦ.**

# КОНКУРС ЮНЫХ АВТОИНСПЕКТОРОВ

**В ЭТОМ** году увеличилось число фактов детского травматизма — погибли 6 и 32 получили ранение. Для сравнения в прошлом году за пять месяцев не было ни одного случая гибели подростков. Эти факты еще раз свидетельствуют о том, что в дошкольных учреждениях и в средних школах не уделяется достаточное внимание обучению детей правилам дорожного движения.

Ежегодно министерство народного образования республики в тесном контакте с УГАИ МВД ГССР проводит в детсадах и школах различные конкурсы, кино-, фотовыставки с демонстрацией кинофильмов на различные темы нарушений ПДД.

Один из таких конкурсов прошел 12 июня в детсадеяслях № 178, расположенном в новом микрорайоне Варкетили-3. Как рассказала нам заведующая детсадом Ц. Микелишвили, этот конкурс стал одним из этапов Всесоюзного мероприятия «Зеленый огонек». Весь коллектив в течение года готовился к этому конкурсу. Воспитателями проведена большая работа: подготовлены костюмы юных друзей ГАИ, организована выставка, на территории детсада проложена учебная автомобильная трасса со всеми знаками и светофорами, стоянка детских машин и т. д.

В этот день было много гостей, среди членов жюри конкурса — заведующая отделом дошкольного воспитания городского управления народного образования Н. Сагинидзе, заведующие детсадами из Заводского и им. 26 комиссаров районов, начальник отделения агитации и пропаганды УГАИ МВД ГССР майор милиции Р. Янтбелидзе, представители ГАИ УВД Тбилгорисполкома майор милиции Р. Перадзе, капитан милиции Н. Чачхиани и др.

Празднично украшен был в этот день детсад. Его воспитанники, одетые в национальные одежды, цветами встречали гостей конкурса. После осмотра выставки картин юных художников, начался праздничный концерт.

Дети, одетые в форму милиции и в цвета различных знаков светофора, пели песни, были проведены развлекательные игры на знание знаков правил дорожного движения, вождение автомобиля, и все это делалось с юмором, под музыкальный аккомпанемент. Закончился праздничный концерт. Члены жюри конкурса объявили, что сад как один из лучших в районе примет участие в городском конкурсе, а лучшему юному госавтоинспектору — 6-летнему Г. Элизбарашвили (на снимке) сотрудники УГАИ МВД ГССР вручили памятные вымпелы.

**А. МАЛАЦИДЗЕ.**





# ჭაბუკური ენერგიით

... **გივი** ბუკია იმ ადამიანების ჯგუფს მიეკუთვნება, რომლებიც ერთხელ არჩეული პროფესიის ერთგულნი რჩებიან ბოლომდე.

სრულიად ახალგაზრდა ეზიარა იგი სახანძრო საქმეს, ეს იყო 60-იანი წლების პირველ ნახევარში.

გ. ბუკიას მძლეოსნობაში გარკვეული წარმატებები ჰქონდა ქალაქში და მაშინდელმა რაზმის უფროსმა შ. სალუქვაძემ მეხანძრედ ჩარიცხვის დღიდანვე ჩართო იგი სახანძრო-გამოყენებითი სპორტის გუნდში.

გ. ბუკიამ სულ მალე მიიპყრო კოლექტივის ყურადღება, რამოდენიმე თვეში დაეუფლა მეხანძრე სპორტსმენისათვის საჭირო რთულ ელემენტებს, შედეგებიც კარგი ჰქონდა. იგი დღითიდღე ხვეწდა და ამუშავებდა ილეთებს. ყოველდღიურად დარში თუ ავდარში დამოუკიდებლად ვარჯიშობდა. მალე იგი თვითონ ჩაუდგა სათავეში ქალაქის სახანძრო დაცვის ნაკრებ გუნდს სახანძრო-გამოყენებით სპორტში და მოყოლებული 1964 წლიდან რესპუბლიკურ ჩემპიონატებში თერთმეტი წლის განმავლობაში არავისთვის არ დაუთმია გუნდური პირველი ადგილი.



გივი გახდა საქართველოს ნაკრები გუნდის კაპიტანი, საკავშირო შეჯიბრებებში მრავალგზის გამარჯვებული და რესპუბლიკის არაერთგზის ჩემპიონი. იგი აირჩიეს საბჭოთა კავშირის მეხანძრე სპორტსმენთა ნაკრები გუნდის კაპიტნად. ლენინგრადის, ბუდაპეშტისა და ვარშავის საერთაშორისო ტურნირებში საბჭოთა ნაკრებმა გ. ბუკიას მონაწილეობით დიდ წარმატებებს მიაღწია.

გივის ღვაწლი და დამსახურება ღირსეულად შეფასდა. იგი დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის" ორდენით. დღეს იგი ფოთის 39-ე პროფესიული სახანძრო ნაწილის უფროსის მოადგილეა, წვრთნის ქალაქის სახანძრო დაცვის გარნიზონის სპორტსმენთა ნაკრებ გუნდს. ამასთან ინტენსიურ მუშაობას ეწევა ქალაქის მოსწავლე-ახალგაზრდობაში მძლეოსან სპორტსმენთა შერჩევისა და მომზადების საქმეში.

გივის ორმოცდაათი წელი შეუსრულდა. იგი ისეთივე ჭაბუკური ენერგიითა და იუმორითაა აღსავსე, როგორც ადრე.

ღმერთმა ნუ მოუშალოს მას ჯანი და უნარი.

**ლ. ჟოჟუა.**

ეს იყო პირველი მარცხი.

პირველი ხელმოცარვა.

ამასობაში თბილისში გამოჩნდა „კატა".

„კატამ" ახალი „საქმე" ჩამოიტანა. ორიენტირი: ისევ ტყიბული. ისევ წვენების ქარხანა. ვინმე ფანჩულიძე. მიზანი: ინახავს დიდძალ ფულს. უნდა შევუმსუბუქოთ ეს მძიმე „ხვედრი".

ამ „ოდისეამ" ოცდათხუთმეტი ათასი მანეთის განაწილების საშუალება მისცა ბანდის წევრებს. ყველა ხომ ჩივაძესავით „უსინდისო" არ გამოდგება.

მერე თერჯოლის რაიონი. მთავარ მაგისტრალზე გაჩერებული მანქანა და ჰიმურის ტყეში დამარტოხელებული მელვინე. ამ მელვინეს სიცოცხლე სულ რაღაც 25 ათას მანეთად შეფასდა.

„დენდი" კი თავის ახალ სატრფოს ოცნების კოშკებს უშენებდა. იყო რესტორნები. მუსიკა. შამპანიურის ზღვა.

— გაუმარჯოს „დენდის" — ჩახწყო. ტრამვაის გაჩერებასთან გაქუცრდული მამაკაცი მერაბ მჭედლიშვილი გახლდათ. მერაბმა წინა დღეს თავისმა ახლო ნათესავმა სთხოვა — ლენინის რაიონის სახელმწიფო ბანკში ნაცნობ ქალთან სამოცდაშვიდი ათასი მანეთი მსხვილ კუპიურებზე გამოეცვალა. მაგრამ იმ დღეს მხოლოდ ოცი ათასი მანეთის გამოცვლა შეძლეს. დანარჩენი — 48 ათასი მანეთი ბინაზე შესანახად წაიღო, საიდან გაიგეს მძარცველებმა, რომ მჭედლიშვილის ბინაზე ასეთი რაოდენობის ფული ინახებოდა? ბანკიდან? ნაცნობი მოლარესაგან? ან ვინმემ შემთხვევით მოატანა თვალი? უფროს ქალის წინამსწარმა ენამ, როცა მჭედლიშვილმა შინ მიიტანა ამოდენა ფული, მისი მეუღლე შეშფოთდა, რატომ პატრონს არ გაატანეო. მერაბმა აუხსნა, რომ მისი ნათესავი თბილისში სტუმრად იმყოფებოდა და ასეთი დიდი თანხის თრევა საშიშიც იყო და სარისკოც. ამ თანხის არსებობის შესახებ მერაბის ცოლმა მასთან ყავის დასალევად გადმოსულ

## გიორგი სანადირაძე

# აკრძალული თამაშები

ლეჩილამდე გაჰყვიროდნენ ოფიციანტები.

რომან გვენცაძე. ამასობაში რესპუბლიკაში ათასგვარ ჭორებს ავრცელებდნენ მოუხელთებელი ბანდის შესახებ. მართლაც — ძალზე ძლიერი ჯგუფი იყო. ავტომატებით, სხვადასხვა სისტემის ცეცხლსასროლელი იარაღებით და ზუსტი, უმცდარი ინფორმაციით აღჭურვილნი. ავფორიაქდით სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომლები. თუ მოვლენებს წინ გავუსწრებით, ამ ბანდის თვრამეტი წევრიდან ცნობილი მხოლოდ ცხრა იყო. ამდენივე საერთოდ არ განუცხადებიათ დაზარალებულთ. ჩვენ არაფერი ვიცოდით იმ ბანდიტურ თავდასხმებზე, მთელი რიგი ოჯახების აუარებელი ფული და განძეული რომ შთანთქეს. რა იყო ეს? მომხვეჭელობითა და ილი გზით ნაშოვნი ქონების გამჟღავნების შიში? იქნებ მძარცველთა მუქარამ აფიქრებინათ ენაზე დაეჭირათ კბილები? ერთიცა და მეორეც მაგრამ როგორღა „აგნებდნენ" ბანდის წევრები ასეთ ოჯახებსა და პირებს. აგერ ერთი მაგალითი. თბილისი. ჩოდრიშვილის ქუჩა. ტრამვაის გაჩერება. ადრიანი დილაა. ხალხი სამუშაოზე მიიჩქარის. არავინ აქცევს ყურადღებას უნომრო „ჟიგულს" ზედ ტრამვაის ხაზთან რომ მიუყენებიათ ახალგაზრდებს. მოულოდნელად „ჟიგული" მთელი სისწრაფით დაიძრა ჩოდრიშვილის ქუჩის მიმართულებით, ორიოდე მეტრის იქით საბურავებმა დაიღრჭიალეს — მანქანა დადგა და ორი ახალგაზრდა სირბილით გავარდა ტრამვაის გაჩერებისაკენ. იქ მყოფ მამაკაცს ხელიდან გამოსტაცა ჩანთა, ჩასხდნენ უკვე აძრულ მანქანაში და გაუჩინარდნენ. ატყდა ყვირილი. შეიძრა ქუჩა. ქურდები. ფული! ჩანთაში ფული მქონდა! წამართვეს!... ყველაფერი ძალზე უმრალოდ დაიმეზობელ ქალს განდო. ამოდენა ფულის შემხედვარეს ამალამ აღარ დამეძინებაო. მეზობლის ქალს დალი ერქვა. დალიმ თავის მხრივ მეუღლესთან განავრცო დიდი თანხის თემა. „განახავს ოდესმე ორმოცდაათი ათასი მანეთი?" „აბა საიდან?" ცივად მოჭრა ქმარმა, „მე ვნახე!" „სიზმარში"? — ჩაიქირქილა ქმარმა „არა ჩვენი მეზობლის მჭედლიშვილების ოჯახში. რად უნდა მაგდენი ფული, ყიდულობენ რამეს?" ქალმა უამბო რაშიც იყო საქმე. მამაკაცი დაიღმიჭა. „მეც არ ვიფიქრე საიდან იშოვეს მეთქი ამდენი ფული?!" „ეჰ ვაჟა, ვაჟა — ამოიოხრა ქალმა — მაგდენი ფული რომ მოგვცა?! ეს იყო და ეს იმ წუთიდან ვაჟამ მოსვენება დაკარგა. ერთხანს გულის გადასაყოლებლად ეზოში ჩავიდა. დომინოს მიუჯდა. ეშმაკმა დაისადგურა მის სულში. რა გაათენებს ამაღამდელ ღამეს... დილით კი ამოდენა თანხას ტყავის ჩანთით ბანკისაკენ გააქანებს კარის მეზობელი! ტფუ! „ახლავე დავბრუნდებიო". უთხრა პარტნიორებსა და ეზოდან გავიდა... იმ ღამეს მან ფაიკა მოძებნა. ფაიკამ ყურადღებით მოუსმინა. უმალ მოხაზა სამოქმედო გეგმა. „გვიან მოხვედი. არ გინდა ასე მოკლე დროში ჩაეტიო?"

ჩაეტიენ. მერე ამ თავდასხმიდან დიდი ხნის მერე ვაჟა ჩარგეიშვილი გამომძიებელს ეტყვის: როგორც ვიცი, ფაიკამ სამ თანამონაწილესთან ერთად ტრამვაის გაჩერებაზე ფული წაართვა მერაბ მჭედლიშვილს, ჩემი ვარაუდით ორმოცდაათი ათასი უნდა ყოფილიყო. იმავე ღამეს მოვინახული ფაიკა ხუთი ათასი გადმომცა. ეს შენი წილია, საქმის მიცემისთვის, თვითონ რამდენი გაიყვეს ერთმანეთში, არ ვიცი... ისე-კი მითხრეს, გატაცებულ ჩანთაში ოცდახუთი ათასი იყოო...

მაგრამ ეს როგორც უკვე ვთქვი, იქნება მერე. ჯერჯერობით კი სისხლის სამართლის სამძებრო უკიდურესობამდე დაძაბული მისდევს მოუხელთებელი მძარცველების კვალს. სანამდე გასტანს ეს დევნა?

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „მებრძოლი გუშაგი" №№ 19-26.**

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

# თბილისის მილიციის უმაღლესი სკოლა
# აცხადებს

**მსმენელთა მიღებას 1990-1991 სასწავლო წლისათვის (დასწრებული და დაუსწრებელი განყოფილებები)**

**მილიციის** სკოლა ამზადებს უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე სპეციალისტებს შინაგან საქმეთა ორგანოებისათვის. სწავლება სწარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე.

დასწრებულ განყოფილებაზე მიიღებიან შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლები რიგითი და უმცროს მეთაურთა შემადგენლობიდან, აგრეთვე სამოქალაქო პირები 30 წლის ასაკამდე, რომლებმაც გაიარეს სავალდებულო სამხედრო სამსახური, აქვთ საშუალო განათლება და ჯანმრთელობის მხრივ ვარგისნი არიან შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურისათვის.

მიმდინარე წელს დასწრებულ განყოფილებაზე მიიღებიან ქალთა სქესის წარმომადგენლებიც, რომელთაც აქვთ არანაკლებ 2 წლის სამუშაო სტაჟისა, უპირატესად შინაგან საქმეთა ორგანოებში.

მსურველებმა განცხადებით უნდა მიმართონ შინაგან საქმეთა რაიონულ და საქალაქო განყოფილებებს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო მილიციის თანამშრომლებმა თავიანთ ხელმძღვანელებს პატაკით.

დაუსწრებელ განყოფილებაზე მიიღებიან შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლები საშუალო და უფროს მეთაურთა შემადგენლობიდან, რომელთაც აქვთ არანაკლებ ერთი წლის მუშაობის სტაჟი და რიგითი და უმცროს მეთაურთა შემადგენლობიდან, რომელთაც აქვთ არანაკლებ სამი წლის მუშაობის სტაჟისა.

საკონკურსო მისაღები გამოცდები ჩატარდება საშუალო სკოლის პროგრამის ფარგლებში ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ან რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), საქართველოს ისტორიაში (ზეპირი) სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლებში (ზეპირი), ჩათვლა ფიზიკურ მომზადებაში.

მისაღები გამოცდები დაიწყება პირველი აგვისტოდან.

დასწრებულ განყოფილებაზე ჩარიცხულ მსმენელებს ეძლევათ სტიპენდია, უზრუნველყოფილი არიან საერთო საცხოვრებლით, სპეციალური ფორმის ტანსაცმლით. შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკებს, რომლებსაც აქვთ ორგანოში მუშაობის არანაკლებ ექვსი თვის სტაჟი, შეუნარჩუნდებათ ხელფასი.

დაწვრილებით მიღების წესების გაცნობა შეიძლება საქართველოს შსს კადრების სამმართველოში (ქ. თბილისი — 4, შევჩენკოს ქ. 3, ტ. 99-1-47-90; 99-1-44-92) და თბილისის მილიციის უმაღლეს სკოლაში (ქ. თბილისი: გლდანი, ქერჩის შესახვევი 1, ტ. 67-68-44)

თბილისის მილიციის უმაღლესი სკოლა.

უფროსო, დამეხმარეთ, ვერ ვიჭერ ამ თავდამსხმელს!

ვ. კეცის ნახატი.



ინდექსი 66639

НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380064, УЛ. ГОГОЛЯ, 23, ТЕЛЕФОНЫ: 95-66-72; 99-1-41-24.
ჩვენი მისამართია: თბილისი, 380064; გოგოლის ქ. № 23. ტელეფონები:

რედაქტორი ა. კობალაძე

ართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, იბეჭდება/ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარა ულის 29. უე 09511